

თბილისი/სტრასბურგი, 1 ოქტომბერი, 2014

კონფერენცია

„2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები: მიღებული გამოცდილება და მომავალი ნაბიჯები“

ორგანიზებულია ევროპის საბჭოსა და საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ

16 სექტემბერი, 2014

თბილისი
ქორთიარდ მარიოტი

<u>დასკვნები</u>

თბილისში 2014 წლის 16 სექტემბერს გამართული კონფერენციის - „2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები: მიღებული გამოცდილება და მომავალი ნაბიჯები“ - მონაწილეები:

- *შეახსენებენ,* რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები არის დემოკრატიის ქვაკუთხედი და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ინსტიტუტების ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფის წინაპირობა.

- *ხაზს უსვამენ* საქართველოში 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მაღალ დონეს და *მოუწოდებენ,* რომ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ადგილი არ ჰქონდეს აგრესიას, ძალადობასა და ზეწოლას.

- *მაღალ შეფასებას აძლევენ* შესაბამისი ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის, როლის გაძლიერებას ამ არჩევნების ორგანიზებაში.

- *მიესალმებიან* მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანას, რომლებიც ითვალისწინებს პოლიტიკურ პარტიათა ფინანსურ წახალისებას, რათა მეტი ქალი კანდიდატი წარმოადგინონ თავიანთ საარჩევნო სიებში, თუმცა *სინანულს გამოხატავენ* პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის გამო.

- *ხაზგასმით აღნიშნავენ* იმ წვლილს, რომელიც ადგილობრივ დამკვირვებლებს შეაქვთ საარჩევნო პროცესში და *მხარს უჭერენ* სამოქალაქო საზოგადოებასა და საარჩევნო პროცესის სხვა მონაწილეთა შორის მუდმივ დიალოგს საარჩევნო ციკლის ყველა ეტაპზე.

- *მოუწოდებენ,* რომ არჩევნების შემდგომი პერიოდი გამოყენებული იქნეს როგორც შესაძლებლობა აუცილებელი საკანონმდებლო რეფორმების განსახორციელებლად, რათა

  - საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემაში მოხდეს თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა, მათ შორის, *inter alia*, კანდიდატთა ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის და საარჩევნო ოლქების ზომის რეგულაციების გადახედვის მეშვეობით.
  - უზრუნველყოფილი იქნეს საარჩევნო სისტემაში ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების პლურალისტური ბუნების ასახვა;

- დამოუკიდებელ კანდიდატებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, კენჭი იყარონ მერის/გამგებლის არჩევნებში, ისევე როგორც სხვა ტიპის არჩევნებში;
- უზრუნველყოფილი იქნეს ხელისუფლებასა და ოპოზიციაში მყოფი პარტიების უფრო თანაბარი წარმომადგენლობა საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში;
- მომავალშიც მოხდეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ რეგულაციების განხორციელება;
- გაუმჯობესდეს საარჩევნო დავების მოგვარების მექანიზმი;
- უზრუნველყოფილი იქნეს აქტიური და პასიური საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისათვის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად;
- ხელი შეეწყოს ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

- *ხაზს უსვამენ* საარჩევნო რეფორმის თაობაზე განხილვების ახალი რაუნდის დაუყოვნებლივ დაწყების არსებით მნიშვნელობას.

- *მიესალმებიან* ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტ თანამშრომლობას არჩევნების სფეროში და *მოუწოდებენ* შემდგომი ქმედებებისაკენ, რათა:

  - ეფექტიანად განხორციელდეს საკანონმდებლო ნორმები ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
  - გაძლიერდეს საარჩევნო კამპანიის ეთიკის მიმართ პატივისცემა;
  - აღმოიფხვრას ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში;
  - გაძლიერდეს მედიის როლი საარჩევნო კამპანიის დროს და გაუმჯობესდეს მისი ფუნქციონირება პროფესიული და ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
  - მოხდეს საარჩევნო ციკლში სამოქალაქო საზოგადოების როლის პროფესიონალიზაცია;
  - წახალისდეს საზოგადოებრივი განხილვები საარჩევნო თემატიკაზე და ცნობიერების ამაღლება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ასამაღლებლად.

- *ხაზს უსვამენ,* თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესის 2014 წლის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის რეკომენდაციების, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს 2011 წლის 19 დეკემბრის ერთობლივი დასკვნებისა და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ ევროპის საბჭოს

საპარლამენტო ასამბლეის 2014 წლის რეზოლუციის გათვალისწინება ხელისუფლების მიერ.

- *გამოხატავენ მადლიერებას* საქართველოს ხელისუფლების, ევროპის საბჭოს, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შვეიცარიის კონფედერაციის მიმართ მათი თანამშრომლობის გამო ამ ღონისძიების ორგანიზებასა და წარმატებით განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის.